ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3249075

ნომერი: AR1497639

თარიღი : 24.04.2017

გაცემის თარიღი : 08.05.2017

გაცნობის თარიღი : 08.05.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კამანის ქუჩა N10 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი გოგოხია პ/ნ 62006054878
- უნივერსიტეტის 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 29 მარტის №2504874 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 24 აპრილის №AR1497639 განცხადებით მომართა მოქ. ირაკლი გოგოხიამ და მოითხოვა სამსახურის 2016 წლის 29 მარტის №2504874 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 29 მარტის №2504874 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, კამანის ქუჩა #10–ში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ: N 01.14.15.002.002, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 29 მარტიდან 2017 წლის 29 სექტემბრის ჩათვლით. განმცხადებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტის ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად მითითებულია 1413.7 კვ.მ ნაცვლად 1413.2 კვ.მ-სა, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად მითითებულია 237.8 კვ.მ ნაცვლად 219.4 კვ.მ-სა, საერთო ფართობად მითითებულია 2655.9 კვ.მ ნაცვლად 2637 კვ.მ-სა. განმცხადებელმა ასევე მოითხოვა 2016 წლის 29 მარტის №2504874 ბრძანების თანდართული +3.00 ნიშნულის საპროექტო გეგმის, 2017 წლის 24 აპრილის №AR1497639 განცხადებით წარმოდგენილი +3.00 ნიშნულის საპროექტო გეგმით ჩანაცვლება. სამსახურმა 2017 წლის 24 აპრილის №AR1497639 განცხადებით წარმოდგენილი შესწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა სამსახურის 2016 წლის 29 მარტის №2504874 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტაციასთან. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და 2016 წლის 29 მარტის №2504874 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 29 მარტის №2504874 ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად მიეთითოს 1413.2 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად მიეთითოს 219.4 კვ.მ, საერთო ფართობად მიეთითოს 2637 კვ.მ, ჩანაცვლდეს 2016 წლის 29 მარტის №2504874 ბრძანების თანდართული +3.00 ნიშნულის საპროექტო გეგმა, 2017 წლის 24 აპრილის №AR1497639 განცხადებით წარმოდგენილი +3.00 ნიშნულის საპროექტო გეგმით.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 29 მარტის №2504874 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 29 მარტის №2504874 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.